ჟელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 23 ენკენისთვე 1916 წ. № 211

საქართველო

ბელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სურათიანი განცხადებანი ერთ სვეტზედ პეტიტით ლირს 15 კაპიკიანს: კანელზე—10 კაპ. ადგილობრივ და უცხოურ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ელირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ლირს 5 მ.; 20×2 ლირს 7 მ., 25×2 ლირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.

დამატებიანი № ლირს უველგან 10 კაპ.

ᲥᲝᲚᲔᲒᲔᲚ-ᲓᲔᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ჭელიწადი მეორე **საქართველო** ჭელიწადი მეორე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. ცალ-ცალკე ნომერი 7 კაპ. ბელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: წლიურად—10 მ. ბელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. ხამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი

აკაკის სახელობის
ქართული საბავშვო ბაღი
ან. გედევანიშვილისა.

მიიღება ბავშვები 3—7 წლამდე. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. ჩაწერა შეიძლება სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში, დილის 10—1 საათამდე.
(4—336—4)

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროშკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „მკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარებით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—6) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ძურთაშარი

სასწავლო სტუდია
ს. ნ. ვოლონოვის
ხელმძღვანელობით.
მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

ბაუერ-ზაქსი—პლასტიკას.
ვორონოვი—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
ელპინ-ზარაფიდი—გიმნასტიკას.
პეტროკოვსკი-გრიმსა და ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
რატოვი—მიმოდრამას.
რობაჭიძე—ესთეტიკას.
ახმეტელი—თეატრის ისტორიას.

მეცადინეობა უკვე დაიწყო. მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიანთ ყოველ-დღე 12—1 საათზე დღისით და საღამოთი $3^1/_2$—$4^1/_2$ ს, ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.
(თ.—254—3)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ყოველ დღე მზადდება
საუზმე | ჩაი
სადილები | უკრა
ვახშმები | ხაჭაპური
პიროშკები

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფახები ყველახათვის ხელმისაწდომია
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ბელხაურელ ფახებში ხაუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
ვაჭრობის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ქართველთა შორის წ.-ქ. გამავრცელ. საზოგადოების
ქუთაისის განყოფილების
გამგეობა ეძებს თავისი სტამბისთვის გამგეს, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეს, როგორც სტამბის წარმოების ტეხნიკურ მხარეში, ისე მის ადმინისტრატიულ ხელმძღვანელობაში.

ჯამაგირი შეთანხმებით

მსურველთ თავისი განცხადება უნდა წარმოადგინონ ქუთაისის განყოფილების კანცელარიაში (შავი ქვის საბჭოს ბინაზე) ამა წლის 1 ოქტომბრამდე.
(6—251—5)

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ვრლიხის „914“ და „606“
შემზადებელი

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთაე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5 77.

ექიმი
გ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ჭირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დალმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახალგაზრდიანისა

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეზვევას კისრულობს
სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.
თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—1)

რუსეთი და გერმანეთი

როგორც მკითხველს მოეხსენება ორი უმთავრესი მიმართულება არსებობს დღევანდელი გერმანეთის მილიტარისტულ და პოლიტიკურ წრეებში. ერთის გულისყური დასავლეთისაკენ არის მიპყრობილი. სამშობლოს უძლიერეს და უმნიშვნელოვანეს მტრად ინგლის-საფრანგეთია აღიარებული, ომის უახლოეს მიზნად მათი წელში მოდრეკაა დასახული. „ზღვათა თავისუფლების“ უზრუნველყოფა, ბელგიის კონგოსა და საფრანგეთის მაროკოს ხელში ჩაგდება—ის მინიმუმია, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებას უნდა დაედოს საფუძვლად. ამ შეხედულებებს უმეტეს ნაწილად კონსერვატორ მემამულეების წრეებში აქვთ გასავალი და „ყოფილ ადამიანები“ ფონ ტირპიცი და ფონ ფალკენჰაინი მათი ცხოვრებაში გამტარებლები იყვნენ.

ლიბერალურ-ბურჟუაზიაში უფრო ძლიერია მეორე მიმართულება, რომელიც ბევრ რამეში პირველის წინააღმდეგობას წარმოადგენს. ეს მიმართულება შეიძლება ერთის ლოზუნგით დახასიათდეს: „მიდრეკილება აღმოსავლეთისაკენ“. ბერლინის შეერთება ბაღდადთან, მცირე აზიის თანდათანობით ხელში ჩაგდება საახალშენო და სავაჭრო-სამრეწველო მიზნებისთვის, გაბატონება ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში—აი ის საფეხურები, რომელიც გერმანეთის საგარეო პოლიტიკამ უნდა განვლოს მსოფლიო იმპერიის შესაქმნელად. უეჭველია ამ მიზნების განხორციელებაში გერმანეთს ყველაზე მძაფრად მისი აღმოსავლეთელი მეზობელი ეწინააღმდეგება. რუსეთ-გერმანეთის მისწრაფებანი ჯვარედინ გზაზე ეჯახებიან ერთი მეორეს მიტომ, რომ ორივენი ერთი და იმავე თბილი ზღვებისკენ მიილტვიან და ომის დასრულება შეუძლებელია თუ მათ შორის ანგარიში არ გასწორდა.

ამ ლიბერალურ იმპერიალისტური მიმართულების მთავარმა იდეიურმა ხელმძღვანელმა პაულ რორბახმა წიგნაკი გამოაქვეყნა ამ ცოტა ხნის წინათ: „რუსეთი და ჩვენ“. ამ წიგნაკში მან გამოარკვია ის მთავარი მიზეზები, რუსეთ-გერმანეთის ჭიშპობას რომ ჰქმნიან და თავი მოუყარა ანტირუსული პოლიტიკის ძირითად მოსაზრებებს.

რორბახის აზრით სახელმწიფოს გარეგნული გაფართოების საფუძველს ყოველთვის შინაგანი მოწყობა და გამაგრება შეადგენს. რუსეთის ასეთი შინაგანი გამაგრება გამოიწვია სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ, რომელმაც დაარღვია თემური მიწათმფლობელობა, ეგრეთ წოდებული ობშჩინა და გლეხი კერძო მესაკუთრედ აქცია. ამ გარემოებამ არაჩვეულებრივად გაზარდა რუსეთის ეკონომიური ძალა, განსაკუთრებით შინაური ბაზრის მნიშვნელობა და გაშენებულ ველიკორუსულ პანსლავიზმს ახალი იმპულსი მისცა. ეს ველიკორუსული პანსლავიზმი ერთი სახეა თანამედროვე იმპერიალიზმის ანუ მსოფლიო ბატონობის იდეისა: ის ლამობს რუსეთის გაბატონებას როგორც წყნარი ოკეანეს ნაპირებზე ისე ინდოეთისაზე, როგორც ატლანტიურ ოკეანეზე ისე ხმელთა შუა ზღვაზე; მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ჩრდილო სკანდინავიისა, კონსტანტინოპოლისა, მცირე აზიისა და ინდოეთის ხელში ჩაგდება, ე. ი. სწორედ იმ გზების გადაჭრა, რომელთაც გერმანია გაფართოებისა და ძლიერებისაკენ მიჰყავთ.

რორბახი სცდილობს გაჰფანტოს გერმანული კონსერვატიური წრეების სიმპატიები რუსეთისადმი, როგორც დიდი თვითმპყრობელი სახელმწიფოსადმი. მისი აზრით რუსეთში სრულიად არ არსებობს კონსერვატიზმი ამ ცნების ევროპიული მნიშვნელობით. მსხვილ მემამულეთა წოდება დაქვეითდა და გაღატაკდა შუაგულ გუბერნიებში, მხოლოდ განაპირა ადგილებს შერჩა მსხვილი მიწად-მფლობელობა, მაგრამ ეს უკანასკნელი თითქმის გაუკლებლივ პოლონური და გერმანულია. დღევანდელი რუსეთის რეჟიმი დემაგოგიური და ტირანიულია და არა აბსოლუტისტური. ევროპიული კონსერვატიული იდეისთვის ეს რეჟიმი უფრო საშიშია ვიდრე სანუკვარი. რუსეთის დამარცხება და შესუსტება ხელსაყრელია არა მარტო ევროპის იმპერიალისტური ელემენტებისთვის, რომელნიც შორს იცქირებიან და მსოფლიო მიზნებს იცავენ, არამედ კონსერვატიული ძალებისთვისაც, რომელთაც წუნარი არსებობა სწყურიათ ძველი კულტურული ტრადიციების ნიადაგზე.

რუსეთის შესუსტება რორბახის აზრით უკრაინის ჩამოცილებით უნდა მოხდეს. მართალია უკრაინის სეპარატიული მოძრაობა იმდენად ძლიერი არ არის, რომ მან საკუთარი ძალით გათიშოს რუსეთის იმპერია, მაგრამ თუ თანამედროვე მსოფლიო ომი შესძლებს 35 მილიონი უკრაინელის გამოცალკევებას, ახლო მომავალში ეს ხალხი უფრო და უფრო განშორდება მოსკოვსა და ველიკორუსობას. უკრაინა უფრო მდიდარია, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთი რუსეთი, მას შავი, ნაყოფიერი ნიადაგი აქვს, რკინისა და ქვანახშირის მდიდარი მადანი, ახალგაზდა ლიტერატურა და ეროვნული ტრადიციები. თვით კავკასია თავისი ნავთის წყაროებით უფრო უკრაინის ფარგალში შედის, ვიდრე მოსკოვისაში. ამგვარად უკრაინას ყველაფერი აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობისათვის და ისეთი არაფერი სჭირია, რაც მას მოსკოვთან აკავშირებდეს.

უკრაინის ჩამოცლით რუსეთს შავი ზღვის ნაპირები წაერთმევა, მაშასადამე, გზა დაეხშობა კონსტანტინეპოლისა და მცირე აზიისკენ. მაგრამ რორბახის შეხედულებით ეს საკმაო არ არის პანსლავიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. რუსობა მრავალრიცხოვანი ხალხია, ის არაჩვეულებრივი სისწრაფით მრავლდება და წელში ადრე გასწორდება თუ ეხლანდელ სოფუძვლიანად არ მოიდრიკა. ამიტომ მას უნდა დაეხშოს მთავარი კარი-ბჭეც პეტრე დიდის მიერ გაჭრილი ევროპაში გასასვლელად. თუ რუსეთს დღევანდელ ფინლიანდია, ოლტზეის კუთხე და ლიტვა არ ჩამოერთვა, ხვალ ის თვით მიიტანს იერიშს სკანდინავიის სახელმწიფოებზე და ხელში ჩაიგდებს ატლანტიური ოკეანეს ნაპირებზე მდებარე ნავთსადგურებს. რომ ეს ოცნება არ არის ამტკიცებს თუნდ ის გარემოებაც, რომ თხუთმეტიოდე წლის წინათ მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა კუროპატკინმა საიდუმლო წერილში ის აზრი გამოთქვა, რომ რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მოუხერხებელია და ამ მხრივ თბილი ნავთსაყუდელის შეძენა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ რუსეთ-გერმანეთის დუელი თანამედროვე ომის უმთავრეს მომენტად არის აღიარებული რორბახის მიერ. თუ არ ვსცდებით თვით გერმანიის უმაღლესი სამხედრო წრეებიც ამ აზრს უნდა იზიარებდნენ ბოლო დროს და ჰინდენბურგის დანიშვნა მთავარ შტაბის უფროსად, ბალკანეთის ექსპედიცია, საფრანგეთ-ბელგიის ასპარეზიდან ჯარის გადმოსხმა „ანტი რუსული თვალთახრისის“ საბოლოოს გამარჯვებას უნდა მოასწავებდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთ-გერმანეთის ასპარეზზე უფრო მრისხანე და ზავთიანი ღრუბლები გროვდება, ვიდრე აქამდე გვინახავს ამ ორი წლის განმავლობაში. რუსეთიც უეჭველია შესაფერ ზომებს მიიღებს მტრის დასახვედრად. მოსალოდნელია რომ სულ ახლო მომავალში მოწმენი გავხდებით უსასტიკესი შეტაკებებისა, რომელნიც ორი დიდი მსოფლიო სახელმწიფოს ბედს გადაწყვეტს, როგორც ერთს დროს პუნიურმა ომებმა რომისა და კართაგენის ბედი გადასწყვიტეს.

ვ. ლელიანი

სომხური „მწერლობა“ ქართულ ენაზედ

ჩვენი საზოგადოება დიდის ყურადღებით შეხვდა სომეხთა დაპირებას, ქართული გაზეთი უნდა გამოვცეთ „იმ სომეხთათვის, რომელნიც ქართულ ენაზედ ლაპარაკობენო“; და ეს ყურადღება მართებულიცაა, რადგან ამ გაზეთით უნდათ სომხური სიტყვა და საქმე მოახვიონ თავზე იმ საკმაოდ რიცხოვან ქართველებსაც, რომელნიც აქამდის მარტო რჯულით იყვნენ გარდაწუნული „ჰაიასტანის“ შვილებთან.

მაგრამ მით უფრო საკვირველია, რომ ჩვენ შეუმჩნეველად გვრჩება ასეთივე ხასიათის გამოცემის დიდი ხნობით არსებობა ბ-ნ მდივანოვის „სომეხთა და ქართველთა“ კალენდარის სახით. ბ-ნი „სერგეი სტეფანეს ძე მდივანოვი“ კალენდარის პირველ, საყდო ფურცელზე ამცნობს მკითხველს რომ მის გამოცემას უკვე ორმოცდა მეთოთხმეტე წელიწადი უსრულდება, ხოლო „ცენზორის მიერ 1860 წელს დასაბეჭდათ პირველ ნება დართვისგან არის ორმოცდამეთექვსმეტე წელიწადიო“... ამ 56 წლის განმავლობაში, „ცენზურის ქრონიკონის“ მიხედვით ბ-ნი მდივანოვი აწვდის „ქართველთ და სომეხთ“ თავის შესაფერ გონებრივ საზრდოს: საკუთარად საკალენდრო ცნობებიდან თავისუფალი თაბახები სულ მთლად ზნეობრივ-ეკონომიურ-პოლიტიკური ქადაგებაა.

სული და გემო ამ ქადაგებისა მეტად ენათესავება იმ ჰკუამახვილობით განთქმულ „სომხურ ანეგდოტებს“, რომელთაც დიდი სიყვარულით ისმენენ ყველგან-როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და ევროპაში.

—

ეკონომიურ ზნეობის სფეროში ბ-ნი მდივანოვი ქადაგებს სიძვირესთან ბრძოლაზე და „სომხურ-ქართული“ მწერლისათვის შესაფერ ენით მოგვითხრობს:—„ყველაზედ უწინ მე დავიწყე ტირილი საქმელ-საზრდოს გაძვირების გამო. 1912 წელს ევროპის სამეფოების რამდენსამე ქალაქებში დაიწყეს ტირილი, ხოლო ეხლა ტირიან ბევრი ქალაქები, მაგრამ მაინც კიდევ ვერ მიაგნეს იმ გზა-კვალს, რომლითაც შესაძლებელი იქნება თავიდან აცილება სიძვირისაო“.

მერე, საით მიდის ბ-ნ მდივანოვის გზა-კვალი?—... არტისტებისკენ!.. დიახ, მდივანოვი ქადაგებს მათ მოსპობს, რადგან სიძვირის ბრალი სწორედ „თეატრ ცირკების და იქ მოთამაშეთა გამრავლება არისო“... ამიტომაც „ყველა ენის ლექსიკონში რომ სწერია აქტიორი—არტისტი, რუსულად „ლოვკი პლუტს“ ნიშნავსო ქართულად კი—მარდ პლუტა, მარდი თვალთმაქცი თვალების ამბმელიაო“.

და, რასაკვირველია, თუ „არტისტების კბილის ჭია“ ყველაზედ უფრო სწორედ საფრანგეთს უწყრება:—„ეხლანდელ თქვენის მყრალ, სამაგელ, ღვთის წინააღმდეგ საზიზღარ ცხოვრების გამო, ხომ ხედავთ, ბატონნო განათლებულნო საფრანგეთის მინისტრებო, რომ ღმერთმა არ მოგცა თქვენ არც სხვათა მინისტრთა ამ საქმის თავს მოყვანაო“.

თეატრთან ერთად მდივანოვი ღვინოსაც არ იკიწყებს, რადგან იგი „კაცს ჯიგარს ულპობსო“, მაგრამ არც სრულ „ტრეზვენნიკობას“ ქადაგობს; მდივანოვის სიტყვით იდეალი, სატრფიალო ცხოვრება ის არის, რომ „მოვიდეს კაცი დუქან-რესტორანებში, ჭამოს პური, დალიოს ერთი სტაქანი ღვინო და მშვიდობით წავიდეს თავის გზაზედო“...

ასეთია ეთიკა ბ-ნ მდივანოვისა; უფრო მეტად ყურად საღებია მისი პოლიტიკა, მთლად ოსმალეთის სომხებისადმი ძღვნილი.

—

სომხეთის დარბევის მიზეზი, მდივანოვის ისტორიოგრაფიის მიხედვით „გერმანიელი იმპერატორი ჰაჯი ვილჰელმია!.. რომლის ბრძანებით დაიწყო ომიო. ამასთანავე მარადის სომხების სისხლის მსმელ მაჰმადიან-მუსულმანებმა (!) ქურთ-ოსმალებმა დაიწყეს უმიზეზოდ თავიანთ ერთგულ ქვეშევრდომთა, უპატრონო მონა სომხების

ხოცვა; მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ სომხები ქრისტიანები არიანო;" ოსმალებმა ექვსასი წლის განმავლობაში „ყლაპეს სომხები მილიონობითო, ასე რომ ოცდა თექვსმეტ (!) მილიონ სომხებისაგან ოთხი ხუთი (!) მილიონი ძლივს ღა გადურჩა იმათს ხარბ მუცელსო, განაგრძობს თავის მატიანეს მოსე ხორენაცის ლავრებზე ატეხილი მდივანოვი; სამაგიეროდ გამოქცეულ სომეხთა დასურათხატებაში იგი უფრო ჰომიროსს ემგვანება: ლტოლვილთ „ვერ მოასწრეს ოჯახიდან ვერაფრის გატანაო, საცა ცომსა ზელდნენ ჰურის გამოსაცხობლად, გაცვივდნენ იმ სახლიდან ცომიანი ხელებით, შოსარეცხე საპნიან ხელებითო"...

ყველა ამ ხალხს მდივანოვის ანგარიშით „დღეში ასი ათასი მანათი მოუნდება, თვეში კი სამი მილიონი დასჭირდებაო". ამ ფულის შესაკრეფად მდივანოვი მოუწოდებს სომხებს („ქართულ" კალენდარის საშუალებით!): „სომხებო, მოვალენი ხართ შეეწიოთ, შეინახოთ თქვენი ძმები და ძმის შვილები, რომელთაც მამა-პაპათა დროიდან შეუნახავთ თქვენთვის ძვირფასი არმენია, თქვენი გვარი, თქვენი სომხობა, ჰაოსიაონობა... მიეშველენით თავგანწირული გმირებს ანდრანიკს, არამს და სხვებსო"... მერმე ვინ არიან ეს სომხები, რომელთაც მიმართავს ბ-ნი მდივანოვი?—ამის საკმაო პასუხს იძლევა ბოლო მდივანოვის ღაღადისი: **„ქართულ ენაზედ მოლაპარაკე სომხებო, სადაც კი იმყოფებით თქვენ, ქართლ-კახეთ-ქიზიყში, იმერეთში მცხოვრებნო**, ვისაც კი რით შეგიძლიანთ, ფულითაც და ნივთითაც შეეწიეთ თქვენს დაღონებულ ძმებს". აი აქ მარხია ძაღლის თავი... ეს კალენდარი იმავე საქმეს აკეთებს, რომელიც უნდა გააკეთოს მომავალმა სომხურ-ქართულმა გაზეთმა—ესე იგი სომეხ-გრიგორიანულ რჯულის მიმდევარ ქართველთა სიტყვით და საქმით საბოლოო გასომხება.

—

გაზეთის შემდეგ კალენდარი ყველაზედ უფრო მოსახერხებელი იარაღია ხალხში ამა თუ იმ აზროვნების განსამტკიცებლად... მდივანოვის კალენდარი უნდა მოშორდეს ქართულ სტამბას და წიგნის მაღაზიას, რათა ამით იგი მოშორდეს ქართველის ოჯახსაც.

გრ. ვეშაპელი.

ომის ამბები

გრძოლის ველზე

რუმინეთის ასპარეზზე მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ არ შეიძლება რომელიმე მთავარ ბრძოლის ველზე საპასუხოთ დიდი ოპერაციები არ დაიწყოს. ამის ნიშნები უკვე სჩანს გუშინდელ რუსეთის სამხედრო შტაბის ცნობებიდან. მდ. ზოლოტაი ლიპაზე ბრძოლამ მეტად სასტიკი ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილა გენ. ხორანოვი. ეტყობა რუსეთის მხედრობას გადაწყვეტილი აქვს ავსტრიელები იმდენად შეაწუხოს, რომ აიძულონ ჯარები რუმინეთის ასპარეზიდან გალიციაში გადმოიყვანონ. თუ რამდენად გავლენას მოახდენს მოპირდაპირეზე ეს შეტევა, ამას ძალიან მალე დავინახავთ. ჯერჯერობით კი ავსტრიელები ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზით სასტიკად უტევენ რუმინელებს და უკან ახევინებენ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ რუმინელები უპირველესად ტრანსილვალიას შეესივნენ. გადალახეს საზღვარი და გერმანშტატიც კი დაიკავეს. ამავე დროს იგინი უტევენ ჩრდილოეთითაც. სამაგიეროდ გერმანელები დ ბულგარელები დობრუჯში შეიჭრნენ, აიღეს ქ. ტურტუკაი და თითქმის კონსტანცს მიადგნენ. ჩვენ მაშინვე ვემყარებოდით იმ აზრს, რომ ავსტრიელები სტრატეგიულ მოსაზრებით უკან იხევდნენ. მათ კარგათ იცოდნენ თუ რა წარმოუდგენელ პირობებში მოუხდებოდათ მოქმედება რუმინელებს და მასთანვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერ შესძლებდნენ ფართოთ ოპერაციების წარმოებას. თვით რუმინელებისთვის კი სწორედ ეს ასპარეზი იყო საყურადღებო, სწორედ ტრანსილვანიაში ჰქონდა მას ინტერესები და ამის გამოც ჩაერია ომში. ყოველისფერი მას უკარნახებდა, რომ სწორედ ავსტრიელებისათვის მიემართა თავისი იარაღი და საბრძოლით კი საფარი-დემონსტრაციები ეწარმოებინა.

გერმანელების და ბულგარელების შეტევას პირველ ხანებში ისეთი ფართე ხასიათი ჰქონდა, რომ ყველას გენერალური ბრძოლის დასაწყისი ეგონათ. თუ გავიხსენებთ რა გაშმაგებული იერიშები მიჰქონდათ ტურტუკაის სიმაგრეზე ან და რა სწრაფი ნაბიჯით იწევდნენ დობრუჯში, უეჭველია თვით რუმინელებიც მიაქცევდნენ მეტს ყურადღებას ამ მიდამოებს და შეეცდებოდნენ ჯარების შევსებას. ამ გარემოებით უსარგებლია კიდევაც ავსტრიის მხედრობას და თვით დაუწყვეთ შეტევა. როგორც გუშინდელი ოფიციალი დეპეშიდანა სჩანს, ავსტრიელებს უკვე დაუბრუნებიათ გერმანშტატი, გადმოულახავთ რუმინეთის საზღვარი და მდ. ალიუტის ნაპირებით კაიმენის მიმართულებით რუმინეთის ჯარს უკან უკან დაახევინეს. ავსტრიელების გეგმა აშკარაა, მათ სურთ მალახიაში იმდენად შეიჭრან, რომ მთელ ამ მიმიდამოებში მდგომ მოპირდაპირეს ჯარს გზები მოუჭრან. დარწმუნებული ვართ, სულ მოკლე ხანში იგინი აგრეთვე შეტევას დაიწყებენ რკინის კარებიდან, რომელიც იმყოფება ტურნუ-სავერნის მახლობლად. ეს იქნება დემონსტრაცია იმ მიზნით, რომ შეაკავონს აქ მყოფი რუმინეთის ჯარი იმ დრომდე, მანამ კაიმენის მიმართულებით საკმაოდ გააფართოვებენ ოპერაციას. ბულგარელები კი სამაგიეროდ მთელს თავის ძალღონეს უთუოდ სარაიცის წინააღმდეგ გადაიტანენ და ეცდებიან მოკავშირეთა ჯარი შეაკავონ ერთ ალაგას. მანამდის მაინც, სანამ საბერძნეთი თავის უკანასკნელ სიტყვას იტყვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავსტრიელებთან ერთად უთუოდ გერმანელებიც იქნებიან. ახლად დაწყებული ოპერაცია მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა. ავსტრიელები თავისით არ დაიწებდნენ ასე გაბედულად მოქმედებას.

საზოგადოთ ბალკანეთი ისევ საშინელ ცეცხლის ალში ეხვევა და ჩვენც შორით მაყურებელნი ძალიან მალე უნდა გავხდეთ იმის მოწამენი, თუ ვის სასარგებლოდ გადასწყდება ამ ქვეყნის ბედ-იღბალი.

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

12 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ოფიც. ცნობა. ბუბნოვის, შელოვოვის და კორიტნიცის მიდამოებში მედგარი ბრძოლა გრძელდება. მდ. ცენიუვკაზე ზოლოტოი ლიპის სათავესთან მოპირდაპირე თავგამოდებით იცავს თავის ბრძოლის ხაზს. დორნა-ბატრის მიდამოებში ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა ბრიგადის უფროსი სახელოვანი გენერალი ხორანოვი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია 1877 და 1904 წ. ომში.

დობრუჯში რუსის კანონერკები დუნაიზე სარბაზნებსა და თოფებს უშენდნენ როსვს (რაშჩოვს) ჩერნოვოდის ზემოთ. ეს არის ბულგარელების მარცხენა ფრთა. როსოვი—ქამადინ—პერველის მიდამოებში ჩვენი შეტევა გრძელდება.

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

ბუქარესტი. რუმინეთის ცნობა. გურგიუს და გარჯიცას მთებში, ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ასპარეზზე, ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 300 ჯარის კაცი და ბევრი სამხედრო მოწყობილობა. 16 ენკენისთვეს კაიმენის მიმართულებით დახევის დროს ალიუტას ველში დავტყვევეთ 300 ჯარის კაცი და წამოვიღეთ 5 ტყვიისმფრქვეველი. ეხლა ეს ჯარი ალიუტის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთებში კონტრ-იერიშებს აწარმოებს. ჯიუს ველში ობროჩის და პეტროსენის მთების მიდამოებში მტერმა მედგრად შემოგვტია და მოშხამული გაზიც იხმარა. იერიში მოვიგერიეთ. ორშოვაზე მოტანილი მტრის იერიშიც მოვიგერიეთ. დობრუჯში საბრძოლო ასპარეზზე ჩვენ ძველ ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირეს ვუტევთ. მტერი მედგრად იცავს თავს.

ლონდონი. მახლობელ აღმოსავლეთში მომქმედ ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. სტრუმის მარცხენა ნაპირას ბულგარელების სამმა ბათალიონმა სამაგიერო იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე. ჩვენმა ჯარმა ხიშტებით უკუაგდო მტერი და გააქცია. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 40 კაცი. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დააყარეს მტრის ტრანსპორტს პორსინიკთან და სერესისაკენ მიმავალ მატარებელს.

პარიზი. ოფიც. ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზისა. ბულგარელებმა დასტოვეს სტარკოვგრომსა და მდ. ბროდზე თავისი თხრილები. როგორც ეტყობა, ჩრდილოეთისაკენ მიემართებიან. მარჯვენა ფრთაზე სერბიელთა ჯარმა დაიჭირა სოვიჩი, ფრანგების ჯარმა კი პეტორაკი და ვრბენი. ინგლისის ჯარმა სტრუმის აღმოსავლეთით დაიჭირა ენიკოი.

კორფუ. სერბიელების ოფიციალი ცნობა. სერბიელებმა აიღეს კოტჩობაი თავისი სამთო ბატარეით, რომელშიაც 4 ზარბაზანი იყო. ბრძოლა გრძელდება.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა სომას ჩრდილოეთით ფრანგებმა დაიმკვიდრეს მერაკი და სენ-პურ-სენ-ვაარტის ტყე. სომას სამხრეთით, ბელფუან-სანტეროის მიდამოში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. უამინდობა ხელს უშლიდა წინსვლის მოქმედებას.

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. მთელ ღამეს დილამდე შეუპყრობელ წვიმა მოდიოდა. ოკურ-ლაბეს მახლობლად ბრძოლა მარჯვედ მიდის. უამინდობა აფერხებს მფრინავთა მოქმედებას. გუშინ ერთი ჩვენი საფრენი აღარ დაბრუნებულა.

პეტროგრადი. „მთავრობის განკარგულებათა და კანონდებულებათა კრებულში" მოთავსებულია შემდეგი დადგენილებანი: 1) შეეზღუდოს ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება სამუსიკო სასწავლებლისა და კონსერვატორიის მოწაფეებს. 2) რუსეთის შაქრის მრეწველობა და აღებ-მიცემობის გამოკვლევა დაევალოს სახელმწიფო საბჭოს წევრს დეიტრიხს. 3) სახელმწიფო საბჭოს წევრს მურატოვს დაევალოს ტყავის მრეწველობა-აღებ-მიცემობის გამოკვლევა. 4) ზოგიერთ ადგილებზე გავრცელდეს 1916 წ. 27 მარიამობისთვის დადგენილება მინისტრთა საბჭოსი ბინებზე ქირის მომატების შესახებ.

ქურნალ-გაზეთებიდან

მაროკოს სულთანის შეთქმულობა

„რადიო" იტყობინება: მაროკოს სულთანის მოლაი-გაფიდის შეთქმულობა გამომჟღავნდა. სულთანი აპირებდა, თურმე, ამბოხების მოხდენას ფრანგებისა და ესპანელების წინააღმდეგ. სულთანი გერმანელების მომხრე ყოფილა.

კლერჟეს აზრი

ჩვენმა მოკავშირეებმა 2—3 თვეში გერმანელების ჯარის ხაზის გარღვევა და წინ წაწევა მხოლოდ 15—18 ვერსის მანძილზე შესძლეს. ეხლა კი, როდესაც გერმანელებს ევროპის ასპარეზიდან დიდძალი ჯარი გადმოჰყავთ, ეს საქმე უფრო გაუადვილდებაო. გერმანელებს ჯარი გადმოჰყავთ გალიციასა და ტრანსილვანიაში. ინგლისელები იმედოვნებენ, რომ სამხედრო ბეგრიდან წინად განთავისუფლებულთა ხელმეორე შემოწვევის წყალობით გაზაფხულისათვის ერთ მილიონ ახალგაზრდა ჯარს შეაგროვებენ და გენერალ ხეიგის ჯარს მიუმატებენ.

რა ელის საბერძნეთს

„ბ. ვ.-ი მეთაურ წერილს უძღვნის საბერძნეთის მდგომარეობას და სწერს: ვენიზელოსი აცხადებს, ჩემის აზრით ეხლანდელი მოძრაობა საბერძნეთში რევოლიუციონური არ არის, ესე იგი მეფის გადაყენება არა ვგსურსო. ჩვენ გვინდა მხოლოდ, მეფემ ანგარიში გაუწიოს ხალხის გულისთქმას, მოკავშირეებს მიემხროს და ომში ჩაერიოსო. ვენიზელოსი გამოცდილი პოლიტიკოსია და კარგად ახსოვს, რომ ძნელია წინდაწინვე გათვალისწინება, თუ რა ფორმაში ჩამოყალიბდება ხალხის მოძრაობა. თვითონ ვენიზელოსს რომ არა ჰსურს საბერძნეთში მართვა-გამგეობის შეცვლა ცხადია. მაგრამ თუ მეფე კონსტანტინე ჯიუტობას არ ეულატებს, მაშინ მეამბოხენი მეფის გადაყენებასაც არ მოერიდებიან.

მორატის აზრი

მორატის აზრით უკანასკნელ ხანებში მოკავშირეთა გამარჯვების მიზეზი ის არის, რომ ისინი ამერიკიდან და აზიიდან შეუფერხებლად ღებულობენ სამხედრო მასალას. მორატი ამბობს: თუ მთავრობას აქვს შესაფერი ზომები, რომ ნეიტრალ სახელმწიფოებს ხელი შეუშალოს სამხედრო მასალის გადმოზიდვაში, ამ საქმისთვის არავითარი ზომები არ უნდა დაზოგოს. ჩვენი მეომრების სისხლი იმდენად ძვირფასია, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიება იქმნას მიღებული, რათა ნაკლები მსხვერპლი შეეწიროს მოპირდაპირის ზარბაზანთა ყუმბარების სეტყვას.

საბერძნეთში

ათინიდან იტყობინებიან: პატრასში გუნარისის მომხრეებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს. ბევრი სიტყვა წარმოითქვა. მოლაპარაკენი სცდილობდნენ საზოგადოებრივი აზრი დაერწმუნებინათ, რომ საბერძნეთისთვის უმჯობესია ნეიტრალის დაცვა, ვიდრე ომში ჩარევა.

მოკავშირეთა ფლოტს შეუერთდა ბერძენთა სამი კრეისერი: „გიდრა", „პსარა" და „კილკისი".

ლლოიდ ჯორჯის აზრი

„უნიტედ პრეს"-ის თანაშრომელს უსაუბრია ლლოიდ ჯორჯთან, რომელსაც განუცხადებია: გერმანეთს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ინგლისთან საჭიროა ანგარიშების გასწორება. ჩვენ ვეცდებით იგი დავაკმაყოფილოთ. ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გასტანს. მთელმა ქვეყანამ, უველმა ნეიტრალმა სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ ამ ბრძოლის დროს გარეშეთა ჩარევა არ შეიძლება. ომის შეჩერება არ შეიძლება იმ დრომდე, სანამ ცივილიზაცია საფრთხეშია.

უკანასკნელი დეპეშები

სატახტო გაზეთების ცნობით მთავარ ფრონტებზე ბრძოლა ჯერ არ დამცხრალა. მდ. სომაზე ინგლის-საფრანგეთის ჯარს სახატიო იერიშები მიაქვს.

—

გალიჩის გამო გერმანელები თავგამოდებით იბრძვიან. ჰინდენბურგმა, რომ ეს ადგილი დაჰკარგოს, ლვოვის ბედიც გადაწყვეტილი იქნება. ბრძოლა 150 ვერხის სიგრძეზე სწარმოებს.

—

რუმინეთის მთავრობამ პროტესტით მიმართა ნეიტრალ სახელმწიფოებს იმის გამო, რომ გერმანელების და ბულგარელების მფრინავები გაუმაგრებელ ქალაქებს ჰაეროპლანებით თავს ესხმიან.

—

მოკავშირე სახელმწიფოები საბერძნეთისადმი ვერავითარ გადაწყვეტილ გზას ვერ დასდგომიან და უცდიან იმ მომენტს, თუ დროებით მთავრობასა და მეფის შორის მოლაპარაკება რა შედეგს მიიღებს.

ვალიკო გუნია

ავადმყოფი მსახიობი ვალ. გუნია ერთ დროს ინახულეს ივ. გომართელმა, შ. მიქელაძემ, გ. მუხაძემ და ვირსელაძემ.

ავადმყოფობას ვალ. გუნია მეტად დაუსუსტებია. სანთლის ფერი სახე გაჰხდომია.

ექიმები ყოველ ზომას ხმარობენ, რაც შეიძლება უშველონ ჩვენს დამსახურებულს მოღვაწეს.

ამ ბოლო დროს თითქოს მოკეთება დაეტყო, მაგრამ, როგორც გუშინ გავიგეთ, ავადმყოფი ისევ შეუძლოდ გამხდარა. გუნიას უფროსი ვაჟი ქართულ გიმნაზიიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო დირექციას დაეთხოვნა და ამ გარემოებას ავადმყოფზე ისეთი გავლენა მოეხდინა, რომ გული შეჰლონებოდა.

ავადმყოფი მას შემდეგ თან და თან ცუდად ჰგრძნობს თავს.

ყოველ დღე ვალიკოს ბინაზე აუარებელი პატივისმცემელნი და ნაცნობ-მეგობრები მიდიან სანახავად და გასამხნევებლად.

ახალი ამბავი

სასახლეში.

მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგნენ სამკურნალო ნიწილის გამგე წითელ ჯვრის საზოგადოებისა კავკასიის ფრონტზე პროფესორი ს. ფ. ჩიჟი, სომეხთა ეპ. მხითარი, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ სიმპსონი და ბაქოს ქალაქის მოურავი ლ. ლ. ბიჩი, რომელმაც ბაქოს საკვებ საქმის მდგომარეობა მოახსენა მათ უმაღლესობას.

გაემგზავრა ყირიმს მათი უმაღლესობა ს. გ. რომანოვსკი ჰერცოგი ლეიხტენბერგისა.

ქართული დაწესებულებანი

თბილისში ჩამოვიდა ბათომის რაიონულ საქვ. საზ. განყოფილების მდივანი ბ-ნი კობახიძე და საგულისხმო მოხსენება წარუდგინა მთავარ გამგეობას. მის მონაწილეობით გამგეობა გადასწყვეტს იმ საკითხებს, რომელიც ბათომის ოლქის მცხოვრებთ შეეხება.

აჭარელთა ბავშვები საბაღოსნო სკოლაში. ჭარ. საქ. საზ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საბაღოსნო სკოლის გამგის წინაშე რათა აჭარელთა ბავშვები იუსუფ დურსუნის ძე ქათამასე და ჰუსეინ სელეიმანის ძე ბეჟანიძე დაუშვან გამოცდაზე და შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე მიიღონ, ვინაიდან მათი მშობლები მეტად დაზარალებულნი არიან ომის გამო და უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან.

ბათომის თავშესაფარში საქვ. საზოგადოებისა, ამ ჟამად 27 ბავშვი ირიცხება. თავშესაფართან სკოლაც არსებობს. თავშესაფარის ღონისძიებათა გამოსაძებნად ბათომში ქალთა წრე არსდება, რომელიც „ძმურ ნუგეშის" მაგვარ საჩაიეს აარსებს.

დახმარება ჭანეთს. ბათომის საქ. საზ. რაიონული განყოფილება თვის წარმომადეენელს გზავნის ამ მოკლე ხანში ლაზისტანში, რომელიც უნდა გაეცნოს მათ გასაჭირს და მოხსენებას წარუდგენს გამგეობას.

წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე გაემგზავრა წინარეხის სკოლის დასათვალიერებლად. იქიდან ჭდაბრუნებისას გაემგზავრება ბაქოს და შემდეგ ზაქათალას.

სოფლის კოოპერატივი. ბოდბისხევის მომხმარებელ საზოგადოებას დაურიგებია წევრებისათვის პაიზე (10 მან.) სამ-სამი მანეთი და გარდა ამისა 20% ნავაჭარ საქონელზე. ვაჭრობა სწარმოებდა მაზანდის მიხედვით. წმინდა მოგება დარჩენია კოოპერატივს წარსული წლის განმავლობაში 1933 მან. 27 კაპ. იმავე დროს ჰყოლია სულ საზოგადოებას 123 წევრი. დივიდენდის რაოდენობას დიდძალი ხალხი მიუზიდნია, ასე რომ ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 327 წევრი და საპაიო თანხა უდრის 6407 მან. საქმე ჩინებულად მიდის,

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციისაგან არჩეულნი დ. ვაჩნაძე, დ. ჩხეიძე და მ. ტოროშელიძე 25 ამა თვეს მიემგზავრებიან სოფ. ლილოს იქაურ მერძეველთა ამხანაგობის საქმეების მოსაწესრიგებლად.

მთავრობის დაწესებულებანი.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. მუსელიუსი გადადგა თანამდებობიდან. გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან მთავარი მექანიკი ფოსტა-ტელეგრაფის ოლქისა ბ. კრასოვსკი, თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ. მედნიკოვი, ბათომისა ლიზლოვი და ქუთაისისა კუმელი.

გაემგზავრა პეტროგრადს ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობის უფროსი კამერგერი პოხვისნევი.

მეურნეთა ყრილობა. კავკ. საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო 21—23 ღვინობისთვეს მართავს თბილისში მეურნეთა ყრილობას მეურნეობის მდგომარეობის გამორკვევის შესახებ ომის გამო. საბჭომ უკვე შეიმუშავა პროგრამა ამ ყრილობისა.

ქალაქის დაწესებულებანი

ჯარში გაწვევა. თბ. ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ წინადადება მიიღო შეადგინოს სიები 1918 წ. ჯარში გასაწვევთა შესახებ, ე. ი. ვინც 1898 წელსაა დაბადებულნი.

ევაკუაცია. თბ. საავადმყოფოებიდან 25 ენკენისთვეს 700 ჯარისკაცი მიჰყავთ ჩრდილო კავკასიაში.

ფულის გაფლანგვა. ქალაქთა კავშირის მსახური ინჟ. სუვალსკი პასუხისგებაში მიიცა ფულის გაფლანგვისთვის.

გუმბრის საავადმყოფო გენ. ლ. გ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანს და გენ. ბერნოვს მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში უნახავთ.

ხოლერა. 22 ენკენისთვეს დილის 8 საათზე, ქალაქს ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 81 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. 21 ენკენისთვეს გარდაიცვალა ხოლერიანი 1 და გაეწერა ლაზარეთიდან 12 კაცი.

ქალაქის თვითმმართველობის კალენდარი. თბილისის ქალაქის გამგეობის მინდობილობით, ქალაქის მდივანი ა. ი. სტავროვსკი შეადგენს 1918 წლისათვის განსაკუთრებულ კალენდარს, რომელშიაც მოთავსებული იქნება ცნობები მხოლოდ ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებათა შესახებ.

ლაზარეთის უსუფთაობა. ქალაქთა კავშირის განყოფილებამ შემდეგი ცნობა მიიღო ალექსანდროპოლიდან, იქაურ ლაზარეთის ადმინისტრაციისაგან: თავ. გ. ი. ორბელიანისა და გენერალ ბერნოვის ბრძანების თანმხმად გატყობინებთ, რომ ალექსანდროპოლის ლაზარეთი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

ლტოლვილნი. ერევნის გუბერნიიდან ათასობით ლიახვი ატყობინებს ქალაქთა კავშირის განყოფილებას, რომ ერძინჯანში 1000-მდე გადმოხვეწილი მოგროვდა, რომელთაც არ გააჩნიათ სურსათი და სამოსელი. მათ შორის თავი იჩინა სახადმა. საჭიროა სასურსათო და სამკურნალო პუნქტის მოწყობაო.

სახამართლო

ახალ კლუბის საქმე. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ახალ კლუბიდან 70 სკამის მოპარვის შესახებ. საბრალმდებლო სკამს ამშვენებდენ კლუბის ყოფილ დურგლის შვილი კ. ჩიკაძე და მეორე გილდის ვაჭარი მიკირტუმოვი და ორი ნოქარი. კლუბის ინტერესებს იცავდა გამგე კლუბ-სა ლ. ნ. ხელაშვილი. სასამართლომ დიდი ხნის თათბირის შემდეგ კ. ჩიკაძეს გადუწყვიტა 4 თვე ციხე, ხოლო მიკურტუმოვს და მის ორ ნოქარს 8 თვე ციხე.

სასწავლებლები.

სასულიერო სემინარიის დაბლა სართულში, საქართველოს ეგზარხოსის განკარკულებით, სემინარიის ღარიბ მოწაფეთა უსასყიდლოდ დაეთმობათ ბინა.

სხვა და სხვა ამბები.

ოქროს გაფრთხილება. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება იმ მოწაფე ვაჟებსა და ქალებს რომელიც ოქროს ჯილდოებით ათავებენ სწავლას მიეცეთ მოწმობები ოქროსა და ვერცხლის ჯილდოების მაგიერ ამ ომის განმავალობის დროს.

გრ. ვ. ნ. კოკოვცევის მოსვლა. გუშინ საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტის თავჯდომარე გრაფი კ. ნ. კოკოვცევი.

ჟურნალისტების ყრილობა. ამ დღეებში დანიშნულია თბ. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობის სხდომა საზოგადო კრების მოსაწვევად. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი თუ რა სახით მიიღოს მონაწილეობა მოსკოვში განზრახულ ჟურნალისტთა ყრილობაში.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკური ბიურო ცნობებს აგროვებს შესახებ ყოველგვარ ჰირნახულის მოსავლისა წელს. ამიერ კავკასიაში და აგრეთვე სხვადასხვა საქონლის ფასებისა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში. ეს ცნობები ბიურომ უნდა წარუდგინოს სოფლის მეურნეთა და სასოფლო სამეურნეო და კოოპერატივთა დაწესებულებების წარმომადგენელთა კრებას, რომელიც მოხდება თბილისში არა უგვიანეს 22 ღვინობისთვისა.

უპურობა და საერთოდ უსურსათობა თან და თან ცხარე ხასიათს ღებულობს თბილისში. ქალაქის გამგეობაში გუშინ არავითარი ცნობაც არ ყოფილა სურსათ-სანოვაგის შესახებ. გამგეობის წევრი ჯაბარი და ბ-ნი შაშკოვსკის თანაშენწე ბ-ნი ვიშიანსკი ჩრდილო კავკასიაში არიან წასულნი სურსათის საძებნელად.

დ. ალგულაღი

— ამ დღეებში ხოლერამ აქაც იჩინა თავი. ამ ჟამად სამხედრო საავადმყოფოში ხოლერით წევს ერთი ავად მყოფი. ჯერ მხვევრპლი არ ყოფილა. როგორც ამბობენ ეს სენი გადმოხვეწილმა სომხებმა მოიტანესო.

— მახლობელ სოფლებიდან დიდძალი ხილი შემოდის. ხილს კარგი ფასი აქვს. ჯარის კაცებს ხილის ყიდვა აკრძალული აქვთ, რომ ავადმყოფობა არ გაუჩნდეთო.

— ამ თვის 3 რველ რიცხვებამდის დაბის ყველა ქუჩებს ელექტრონით ანათებდენ, ამ ჟამად კი ელექტრონის სადგური დახურულ. ქუჩები წყვდიადმა მოიცვა.

— ახლად გ წვეული მეორე ხარისხის მოლაშქრენი უკვე მოიყვანეს. აქ შემოწმების დროს იმათში ბევრი ავადმყოფი აღმოჩნდა და საავადმყოფოში მოათავსეს.

— ღამ-ღამობით აქ უკვე თოვს.

— აქაურ შეძლებულ ვაჭრებს ბაირამოვებს აქვთ კინემატოგრაფი, სადაც უმეტესად ჯარის კაცები დადიოდნენ. მთავრობა ბაირამოვებს ამ კინემატოგრაფის ჩამორთმევას უპირებს.

ველური საქციელი

გაზეთ „სამშობლოს" დეპეშით ატყობინებენ შემდეგ გულშემზარავ ამბავს.

ქალაქის მოურავად ნამყოფი და ეხლა კი საურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარე ალმასხან კალან-

დაძე ძალიან უკმაყოფილო დარჩენილა თქვენი გაზეთის № 437 და 439 მოთავსებულ კორესპონდენციით ოზურგეთიდან და იმის მაგივრად, რომ უარ ეყო კორესპონდენციაში აღნიშნული ბრალდებანი და თავი ემართლებინა საზოგადოების თვალში, წინასწარი განზრახვით უკანიდან მიეპარა თქვენი გაზეთის კორესპონდენტს გიორგი მუმლაძეს და რამდენჯერმე ჯოხი დაკრა თავში და სამ ალაგას გაუტეხა. ბ-ნი მუმლაძე საგრძნობლად არის დაშავებული.

რედაქციისაგან: იმ ვერაგობას და საქციელს, რომელსაც ბ-ნ ალმასხან კალანდაძეს ჩაუდენია, განმარტება აღარ სჭირია! რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კალმის უშიშარ მუშაკს ბ-ნ გ. მუმლაძეს და მოუწოდებს საზოგადოებას თავისი მსჯავრი დასდოს ბ-ნ კალანდაძის მოქმედებას!

იმედი გვაქვს, რომ თვით ქართველი საზოგადოება დაგვიცავს კალმოსნებს ასეთ დაუმსახურებელ შეურაცხყოფისაგან, თორემ, ამა რასა ჰგავს, ბატონებო, ასეთი ველურობა?!..

განა შეიძლება მუშაობა და ცხოვრება ისეთ წრეში, სადაც ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მეშატიანეს ჯოხით უმასპინძლდებიან? განა იმიტომ გამოდის კაცი დოსტაქარად ჩვენის დახავსებულის ყოფისა, რომ მერე საჯაროდ შეურაცხყოფილ და დამცირებულ იქნას პრესისა და ხალხის ერთგული მოსამსახურე?

ვიმეორებთ: იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხი მოსთხოვს ბ-ნ კალანდაძეებს პასუხს, ხოლო გიორგი მუმლაძეებს ზნეობრივად გაამხნევებს და შეჰქმნის ისეთ პირობებს, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ სიმხეცესა და მთელი ქვეყნის თავის მომშრალ ამბებს!

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ კერძოდ, ოზურგეთის საზოგადოება ხმას აღიმაღლებს და დაადასტურებს ბ-ნ გ. მუმლაძის სიმართლის მოყვარეობას.

მეგრძოლი სახელმწიფონი

გერმანეთი.

VII

(გაგრძელება)

„არც ერთი პოლიტიკური საკითხი მათემათიკური სისწორით არ სრულდება,—სთქვა ერთხელ ბისმარკმა,—ესენი წარმოიშვებიან, ჰქმნიან თავიანთს ეპოქას და ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად ჰქრებიან დავიწყების უფსკრულში. ასეთია ორგანიულ განვითარების გზა და ხიდიო“, ბისმარკის ასეთი წინასწარმეტყველებათა პარტია ღმერთობას სჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა. მათი სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, როგორც პრაქტიკული ქრისტიანიზმი, კეკლუც ილლუზიებად დარჩა. მათს დიდს ზრდას 1890 წლიდან დიდი ცვალებადობაც ეტყობა. თუ რაიხსტაგში 56 ადგილის მოპოვება დიდად იდღესასწაულეს, ამავე დროს მათ სულის გარდატეხის დემონი სულ სხვაგვარ დღესასწაულის ალამს აფრიალებდა. პსიხიურად გარდაქმნილი დღევანდელი სოციალდემოკრატები უკვე აღარ არიან პირვანდელი დოქტრინერი მამათ მთავრები. ძალით გარდამქმნელ პარტიიდან იგი მშვიდ ობიანობის მოტრფიალე პარტიად გადახალისდა. მათ შეგვიძლიან ევოლიუციონისტები ვუწოდოთ, რადგანაც მხედველობაში აქვთ თანდათანობითი რეფორმებით უმაღლეს იდეალს მიაღწიონ. გერმანეთის სოციალდემოკრატია მიხვდა, რომ ფანტასტიურ სახელმწიფოს მიერ გამომკრთალ აჩრდილის დევნა ძალიან შორს ვერ წაიყვანდა, როგორც ქვეყნად ცის სასუფევლის დამყარების დევნამ მოჰქანცა ძველი ქრისტიანები და დღევანდელ უქნარ სამღვდელოებამდე ჩამოიყვანა, რომელთა როლი საიქიოს ცხონების იქით აქ პრაქტიკულად განსახორციელებელს აღარას ჰხედავს. ქვეყნის ერთ კლასად ქცევა, ერთ ხალხად გადახალისება აბსურდი გამოდგა, ამას ვერავითარი რკინის კანონები ვერ დაარღვევდნენ, რადგანაც ეს დასარღვევი დიდი ხანია საუკუნეთა მიერ თავისებურ დაურღვეველ მართლაც რკინის კალაპოტში მოექცია. ან ამით აიხსნება, რომ სოციალდემოკრატია დიდ ზრდასთან ერთად შესამჩნევად ირღვეოდა, რაც ასე აშკარად გამოჩნდა ერფურტის კონგრესზე, 1891 წელს, სადაც კაუტსკის მიერ გამომუშავებულ იქმნა ახალი პროგრამა. მართალია, გამომუშავდა პროგრამა, მაგრამ მასსამ და მისმა ერთმა ხელმძღვანელმა ნაწილმა ედუარდ ბერნშტეინის მეთაურობით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მარქსისტულს სახელმძღვანელო პრინციპებს. ამ ბელადის მკვირცხლი კრიტიკით ნათელი შეიქმნა, რომ სოციალურ დამოკიდებულებათა გამწვავება მარქსის წინასწარმეტყველებისამებრ არ მომხდარა. შეძლებულთა რიცხვი არ შეცოტავდა, არამედ გაიზარდა. საზოგადო სიმდიდრის ზრდა ჰბადებს არა თუ დიდ კაპიტალისტების შემცირებას, არამედ მრავალ კაპიტალისტთა წარმოშობას. საშუალო კლასი ივცვლის ხასიათს, მაგრამ კი არა ჰქრება“ და სხვა. თვით ინდუსტრიაშიაც კი ბერნშტეინის აზრით მხოლოდ ზოგიერთ დარგში მართლდება სოციალისტურ კრიტიკის წინასწარმეტყველება კონცენტრაციის შესახებ, მეტ წილად იგი ბათილდება. პოლიტიკურ მხრით კაპიტალისტური ბურჟუაზია ადგილს უთმობს დემოკრატიულს დაწესებულებათ, ამის მიხედვით თავის თავად მცირდება პოლიტიკურ გრანდიოზულ კატასტროფის როგორც აუცილებლობა ისე შესაძლებლობა, პირიქით, მცირდება კიდეც. მუშათა კლასი ვერც ეხლა და ვერც შორეულს მომავალში მის გარდატანას ვერ შესძლებს. ამიტომ სოციალდემოკრატიას დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური უდიდესი ცვალებადობის. მან უნდა მუშათა კლასს მისცეს პოლიტიკური ორგანიზაციები, გამოაწრთოს დემოკრატია და სახელმწიფო რეფორმები გაიყვანოს, რა, მუშათა საზოგადო მდგომარეობა აღმაღლდეს, გაუმჯობესდეს და თვით სახელმწიფო წესწყობილებაც დემოკრატიულ სულის თანახმად გარდაიქმნესო. ამ აზრის მიხედვით ტაქტიკის საგულისხმიერო კითხვა მეტად მარტივი სიტყვებით იხატება: „რა გზაა უფრო უმჯობესი გერმანელ მუშათა სოციალ და პოლიტიკურ უფლებათა გასაფართოვებლად“?

De-Ka

(შემდეგი იქნება)

გატონყმოგა ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში ბატონყმობა გაცილებით ლმობიერი და ადვილი ასატანი იყო, ვიდრე შემდეგ. უწინ თუ მებატონე გლეხ კაცს, ან აზნაურს შეაწუხებდა და უდიერათ მოექცეოდა, გლეხი კაცი ან დაჰკრამდა ფეხს და სხვასთან მივიდოდა ან რომელსამე ეკკლესიას და მონასტერს შეეწირებოდა. ან მეფეს შესჩივლებდა თავის სიდუხჭირესა და გაჭირვებასა. ამისთანა საჩივარი გლეხის მხრივ მეორეთ საკმაო იყო, რომ მებატონეს მეფის ბრძანებით ჩამორთმეოდა ყმა; ამისთანა შემთხვევაში გლეხი კაცი თავისუფლდებოდა—ვისაც უნდოდა ყმათ მიუვიდოდა,-ეკკლესიასა, ან მეფეს, ან სხვა თავადსა. მეფე და სამღვდელოება გაცილებით კარგათ ეკიდებოდა ყმებს, ვიდრე თავად-აზნაურნი *). მიზეზი ეს იყო, რომ სახასო (სამეფო) და საეკლესიო გლეხნი უფრო შეძლებულნი და კაიყოფაში იყვნენ, იმავე თავით ვიდრე საბატონონი. შეადარეთ სახასო და საეკლესიო სოფლები—მოხისი, ნადარბაზევი, ოკამი, კოდისწყარო, ძეგვი, მარტყოფი, საგარეჯო, ჯიმითი, გავაზი, ხოდაშენი, ქიზიყი და სხ. საბატონო სოფლებსა—მუხრანსა, მეჯვრისხევსა, ჭალასა, ქარელსა, საგურამოსა და სხ.

რუსეთში მისვლა-მოსვლამ უწინ საქმე წაახდინა. ბატონიშვილები და თავად-აზნაურნი შეეჩვივნენ უცხოურათ ფუფუნებით ცხოვრებასა, ძველის წესთ ყმათაგან შემოსავალი და სამსახურით აღარა ჰყოფნიდათ და რუსეთის წესზედ მუხრუჭი მოუჭირეს არამც თუ გლეხებსა, არამედ აზნაურებსაცა. ახლათ შემოსული რუსის მთავრობაც ხელს უწყობდა რუსეთულ ბატონყმობასა.

უწინ დიდის თავადის ოჯახს-გვარიშვილობას განაგებდა უფროსი კაცი, მთელი შემოსავალი იმის ხელში იყრიდა თავსა და იგი თავის გვარისშვილებს ყველას თავთავის წილს ულუფასა და სხ. აძლევდა ანგარიშით. ბოლოს ბატონისშვილები და თავადაზნაურნი აღარ ემორჩილებოდნენ თავის გვარის უფროს კაცებს და თვითნებობა დაიწყეს. იკლებდნენ და აწიოკებდნენ გლეხ-კაცებს და აზნაურებსა. ესეთმა უკუღმართობამ ერეკლე მეფის დროსვე იჩინა თავი ბევრგან, იმ დროს ამილახვართა გვარი ძალიან გამრავლებული იყო და სახლის კაცთა შორის დიდი შფოთი და აურ-ზაური ჩამოვარდა, ერთმანეთს ასაკლებათა და მოსაკლავათ აღარ ინდობდნენ, გლეხკაცს ვილა ჩიოდა, ან აზნაურობასა.

ამისთანა მადაგამგელებული ბატონიშვილები და თავად-აზნაურნი აღარად აგდებდნენ თავის მშობლებს და საგვარეულო უფროსებს. მაგ. ესრეთმა უდიერობამ ჯერ ისევ ერეკლე მეფის დროს იჩინა თავი წვრილფეხა ამილახვრებს შორის. შეწუხებულ აზნაურ—გლეხებს თავი მოუყარა სამთავისის ტაძრის ეზოში 1796 წ. სეკტემბრის 8, ღვთისმშობლობა დღეს სახელოვანმა სამთავნელმა გერვასი ეპისკოპოსმა (მაჭავარიანმა), დაარიგა მამაშვილურათ, ყველანი დააფიცა ღვთაების ხატის წინ და შემდეგი მუჭალგის წერილი დაუწერა თავის ხელით: „ქ. ჩვენ ყოვლად სამღვდელომ სამთავნელ ეპისკოპოსმან გერვასიმ, ქარუმიძე კასპის მოურავმა იოანემ, ქარუმიძე ზაზამ, ჩიკოიძე ქაიხოსრომ, ლიპარიტისშვილმან ბერმან, თუხარელმა მსხვილოსის მოურავმა გიორგიმ, ზაალისშვილმა იოანემ, ქარუმიძე ალექსანდრემ, ყანჩაელმა ბიძინამ და ზაალ, ქარუმიძე ნაცვლისშვილმა ნინიამ, ზაალისშვილმან იოსებ, გიორგაშვილმა ბოქაულთ უხუცესმა უთრუთ, ჩიკოიძე ზაალმან, თუხარელმა რამაზამ, ალექსისშვილმან ევთიმიმ, გიორგაშვილმა პაატამ, ბასილაშვილმან შარმაზან, ზაალისშვილმან ზურაბ, ტარშაიძაშვილმან ლუარსაბ, ავთანდილ ქარუმიძისშვილმან გლახამ, ალექსიშვილმან ნინიამ, მურაჩაშვილმან ფირან, ქავთარაძე მამათმთავარმან თამაზამ,—ვეცადენით, რომ ამილახორის ოთარის რიგზედ სახლის კაცების უმცროს უფროსობა და შეერთება მომხდარიყო, მამაპაპათ განწესებაზედ დამდგარიყვნენ. და რომელიც ჩვენზედ და გლეხკაცზედ რბევა, ჭრილობა, აკლება და ეკკლესიის ყრმის უსამართლო დებულება და დარბევაზედ ხელი აეღოთ, და რიგიანი უმცროს უფროსობა და სიყვარული მომხდარიყო. ეს ხომ არ დაიშალეს, და ჩვენ ამაზედ მეტი ჩვენი თავის მოვლა ვერ შევიძელით: მივედით სამთავისს, ყოვლად სამღვდელო სამთავნელი გერვასი წინ მივიმძღვარეთ და ამ ზემოხსენებულთ აზნაურშვილებმა მღვთაების ეკლესიაში, მღვდელმთავრის წინ მიძღოლით, მეფის ირაკლის და იმისის შვილების უწინაღმდეგო საქმე, ამილახორის ოთარის დროს დავიფიცეთ: ვიყვნეთ ერთი მეორის კაიმდომნი და რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა, ჭრილობა, აკლება და შვილების მოახლეთ წართმევა გვჭირებია—ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ. თუ რომელიც ჩვენში—ან გაილახოს, ან დაიჭრას, ან დაირბეს—ერთიანათ ერთმანეთთან დავიმართნეთ, ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაც, და ლაპარაკიც ერთი იყოს. და სადაც აზნაურშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ უსამართლო მოინდომოს—აზნაურშვილმან გლეხს კაცს უქომაგოს ტბლეხმა აზნაურშვილსა და ერთი მეორეზედ ვინც შორს იდგეს, კიდევ ერთი მეორეს მივეშველნეთ. ამ ჩვენის ფიცის წერილზედ, რომელმაც ხელი მოგვიწეროს ხომ ჩვენთან იქნება, და რომელმაც ხელი არ მოგვიწეროს—ერთიანად მიუხდეთ, დავსწვათ და ავიკლოთ, და ცარიელი კაცი ამილახვარს მივართვათ. რომელიც ჩვენს მამაპაპათ ამილახორისათვის ერთგულად უმსახურნიათ და ოჯახის ერთგულნი ყოფილან, ჩვენც ისე მიუდგეთ და უერთგულოთ; და რომელმაც უფლის წულმან ყმაზედ და ამილახორზედ წინააღმდეგი საქმე ქნას და მიგვისიოს უფლის წულზედ, ისე მივესიენეთ; და რომელმაც უფლისწულმა ამილახორის უბარათოთ ვერც მსახური გამოიყვანონ, ვერც ურემი, ვერც ცხენი, ვერც ხარი გამოართოს, ვერც ღალა გაყოს, და რაც მამაპაპათ დებულება არის, ვერც სახასოს მოუმატოს და ვერც ეკლესიის ყმასა. რომელიც ამ წერილში დაგვიწერია და პირობა და ფიცი დაგვიც, ვინც ამას გარდახდეს, იყოს პირველად წყეული ყოვლად წმიდისა სულისაგან, ოთხის პატრიარხისაგან და ყოვლის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან და საქართველოს მღვდელთმთავართაგან და ყოვლად სამღვდელო სამთავნელ ეპისკოპოსის გერვასისაგან. დაიწერა წერილი ესე და პირობა და ფიცი სეკტემბერს ⅁, წელსა ჩღქვ, ქ-ს უჰდ. რომელმაც ამაში მოხსენებულმა კაცმა ამაში უმტყუნოს, ყველანი მას მიუხდეთ და დავსწვათ და ავიკლოთ, და ესეც რომ, რაც ეკლესიის ყმას არა სდგებია, ვერც ისინი იმსახურონ. სექტემბერს ⅁, ქჭს უჰდ.

ყოვლად სამღვდელო სამთავისისა, ქსნისა, წინანძღვარი მღვიმისა გერვასი. ქ. მე ქარუმიძე სალთხუცესი სესია ამ წერილის ყაბული მაქვს. ბეჭედი. (შემდეგ სამოცდა ორი ჯვარი ზის, რადგან წერა კითხვა არა სცოდნიათ) ქ. მე მოურავი თუხარელი ხელს ვაწერ მეც, ეს ჩემი ხელია +“.

ამ ხელწერილმა გასჭრა: ხელი მოაწერეს ამილახვრებმა: „ქ. ჩვენ ამილახოსკ ოთარ და ჩემი სახლისკაცები რომელიც ხელს მოაწერს და რომელიც ურჩი იქნება, რომელზედაც თქვენ გიფიცავთ, ჩვენც ფიცში თქვენი თანახმანი ვართ, რომ რომელიც თქვენზედ უსამართლობას იხმარებს და უსამართლოთ ან თქვენ შეგაწუხებს, ან გლეხკაცსა, ჩვენც თქვენთანა შემწენი ვიქნებით, რომელიც ბეჭედს დავსვამთ და ხელს მოვაწერთ, ბეჭედნი: ოთარო ქაიხოსრო, №, გიორგი. შემდეგ, 4 ოკდომბერს პირობა მიართვეს ბატონიშვილს იულონს ამილახვრებმა ბეჟანმა, იოანემ, ნინიამ, ქაიხოსრომ შვილებით და სხ.

საქართველოში ყველგან ასე თავგამოდებით ეჭომაგებოდა ეკკლესია და სამღვდელოება დაჩაგრულს გლეხკაცსა და მფარველობდა საქვეყნოდ, ამით ასრულებდა იგი იესო ქრისტეს მცნებასა.

იმავ 1796 წლის ღვინობისთვის 4 დან უკვე იწყება კრიტიკული განსჯა ამ ქვეყნიური საზომით განხილვა გმირად დასახულ პირთა მოქმედებისა. სოციალისტური ინტელიგენცია დაუახლოვდა ხალხს, უკანასკნელი დაუახლოვდა ინტელიგენციას. მათ შორის დროებით ჰარმონიულ კეთილგანწყობილების ძაფი გაიბა. მაგრამ დიდხანს ვერ გასტანდა ასეთი მდგომარეობა. სარევოლიუციო აგიტაციას მოჰყვა პროპაგანდა, უკანასკნელს- „მკითხველთა წრეების“ დაარსება. დადებით მუშაობის წარმოებამ ხელი შეუწყო ხალხის ფართე წრეებს, რომ პარტიული პროგრამების სხვა და სხვა საკითხში გარკვეულიყვნენ. ეს „გარკვევა“ თან საბედისწეროც აღმოჩნდა ინტელიგენციისათვის. აბა რა პასუხი უნდა მიეცა რომელიმე ინტელიგენტს ცნობიერებაში მოსულ გლეხისათვის ისეთ კითხვაზე, როგორიც არის „სიღარიბის თეორია“, ანუ ეგრედ წოდებული პროლეტარიზაცია?! ამ მიკვირნეულ ადგილს სოც.-დემოკრატიულ პროგრამაში ნახევრად ინტელიგენტი ან მოწინავე ჭარხნის მუშა შესაფერი სიფრთხილით ვერ გააშუქებს. პარტიული დისციპლინით აღჭურვილ და საფუძვლიანად მომზადებულ ინტელიგენტს უბრალო სოფლებში კი იშვიათად შეხვდებით. ხელმძღვანელი წრეები შიში მოიცვა. წმინდა სოციალისტური პროპაგანდა - აგიტაცია მსხვერპლად ეწირებოდა სახალხო დემოკრატიულ საქმეებს. პარტიულ კითხვების ნაცვლად საჯარო კრებებზე მოწვეულ პროპაგანდისტს წმინდა სასოფლო საქმეების შესახებ შეკითხვებით სტვირთავდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია გამიჯვნა „პარტიულისა და დემოკრატიულისა“. სასოფლო საქმეების გასაარჩევად არსდება წმინდა დემოკრატიული ორგანიზაციები, აქ პარტიული ხელქვეითია, დემოკრატიული-უაღრესი. მეორეს მხრით ყალიბდება წმინდა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელ როლის მითვისებას ჩემულობენ სრულიად გლეხობის ცხოვრებაში. არსდება რაღაც მაგვარი გერმანეთის პარტიულ და პროფესიულ კავშირებისა, იმ განსვენებით მხოლოდ, რომ აქ სახალხო მოძრაობის გამომხატველ ორგანიზაციათა შორის მტრული ურთიერთობა, თუ გაუგებრობა დამყარდა დღიდან ასეთ განსაზღვრის მოხდენისა. თავმომწონე გურული გლეხი ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ პარტიულ წრეში არ მიიღეს და ნაცვლად ამისა რაღაც „თალხ“ ორგანიზაციის მაჩაჩალა გახადეს. ნივთიერი მდგომარეობა საგლეხო ორგანიზაციაში დარჩენილებისა არც თუ ისე სახარპიელო იყო, რომ პარტიის წევრებს ამ მხრით რაიმე დასაყვედრებელი ჰქონოდეთ. სოციალი მდგომარეობა გლეხკაცობისა და განსაკუთებით კი გურულებისა ისეთია, რომ აქ კლასიურ დანაწილება-დიფერენციაციაზე და აქედან გამომდინარე პოლიტიკის წარმოებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ეგრედ წოდებულ შემძლებელ გლეხთა კატეგორიას ეკუთვნიან ისეთები, რომლებიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ დაქირავებულ შრომით კი შეიძლება ჩავთვალოთ მოჯამაგირეობა, რომელიც გურიაში გავრცელებული არ არის. განსაკუთრებით სახალხო მოძრაობამ მოუსპო სურვილი გურულ უწყალელ ახალგაზდებს მოჯამაგირედ დადგომისა. აგრაგრულ გაფიცვის პირველი ნაბიჯი მემამულეებიდან მოჯამაგირეების დათხოვნაში გამოიხატა. თუ ვინმე მემამულე სახალხო აზრებს არ იზიარებდა და ძველ ყოფა-მდგომარეობის მოსარჩლედ გამოდიოდა, იმას უბედური შემთხვევაც ოჯახში ჩაშხამებული ჰქონდა: ასეთი პირთა ოჯახის გარდაცვლილ წევრს ხალხი არ ეკარებოდა და ხშირად ისე ღვთის ანაბარად რჩებოდა მეზობლისაგან დაუტირებელი. მემამულეებიდან დათხოვნილმა მოჯამაგირეებმა შემდეგ სხვაგან არ მოისურვეს დადგომა და ან კი სად უნდა წასულიყვნენ? გურიაში ზედმეტი მიწა მხოლოდ მემამულეებს აქვთ, გლეხებში კი თითო ოროლას შეხვდებით ასეთებს. უკანასკნელად გურიაში მოჯამაგირეობა ძლიერ შემცირდა, რის მიზეზი მუშა ხელის გაძვირებაცაა. თვით შეძლებული მემამულეც ვერ აუდის მოჯამაგირის ხელფასს, ასე რომ იაფი შრომით იოლად წასვლის იმედს დიდი ხანია რაც აქ გამოეთხოვნენ. მაშ კიდევ სხვა რომელ ფაკტორს უნდა დაყრდნობოდა მოძრაობის დროს გურიაში მომქმედი ინტელიგენცია, რომ გლეხობაში კლასიური თვალსაზრისი შეეტანა და ცხოვრების მოვლენები ამის მიხედვით გაეშუქებინა?

დ. არონიშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. გუჯრები ფურცელაძისა, ჯორდანიასი და სხ.

მიწის უფლებისათვის გრძოლა გურიაში

თავი V

1907—8 წლები. კრიტიკული ხანა დასელთა მოღვაწეობაში. დემოკრატები და სოციალისტები. დასელთა საქმიანობა და ფედერალისტები. მიწების შესყიდვა, საახალშენო პოლიტიკა და დასელები.

გურიის აგრარულ მოძრაობის დაწვრილებით განხილვას ხელს უშლის მრავალი საყურადღებო მასალების უქონლობა და არსებულთაგან რამდენისამე გამოქვეყნების შეუძლებლობაც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ გადმოცემული ცნობანიც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს, რათა მკითხველმა საერთოდ მაინც წარმოიდგინოს—თუ რა შინაგანი ძალა აცხოველებდა ამ სანიმუშოდ მიჩნეულ ბრძოლას. ისეთი დინჯი და დაკვირვებული ადამიანიც-კი, როგორიც ბრძანდებოდა პატივცემული მეცნიერი ნ. მარი, ვერ ასცდა გურულთა მოძრაობის მხიბლავ მხარეებით გატაცებას და აღფრთოვანებას. როგორც ვიცით, ნ. მარმა გურულთა მოძრაობას უძღვნა წიგნაკი რუსულ ენაზე. როგორც ეს, ისე ბ.ბ. კალანდაძისა და მხეიძის რუსული წიგნაკი „Очеркй изъ Гурійскаго движенія“ ეხება გურულთა მიერ წარმოებულ ბრძოლის ეპიზოდიურ მხარეებს. განხილვა და შესწავლა ბრძოლის შინაგან მხარეებისა—ეს საქართველოს სამოქალაქო ბრძოლის მომავალი მემატიანის საქმეა, ხოლო აქედანვე შეიძლება ვსთქვათ, რომ მომავალ მემატიანის გულისყურს ჯადოსნურის თილისმით შეჰბორკავს მრავალფეროვანობა გურიის აგრარულ მოძრაობისა.

სახელმწიფო დაწესებულებათა ბოიკოტს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა საზოგადო სახალხო ორგანიზაციებს შეექმნა-განმტკიცება. დაწვრილებით განხილვა ამ ორგანიზაციათა წყობისა მეტად საგულისხმიერო ცნობებსა და მასალებს მოგვცემდა, სხვათა შორის, ამიერ კავკასიის ერობის სხვა და სხვა ტიპის არჩევისათვისაც. ცნობილია, რომ საეროზო მართველობაში საზოგადოებრივ თაოსნობას მეტ ადგილს აკუთვნებენ. ამ თვალსაზრისით წვრილ საერობო ერთეულებს უფრო სამჯობინოდ სთვლიან რუსეთის საზოგადო მოღვაწეები. გურიის სახალხო მოძრაობამ, მიუხედავად აქ მომქმედ ცენტრალისტურ მიდრეკილების პარტიისა, მოგვცა იმის ნიმუში—თუ წვრილი ერთეულები როგორი სისწორით გამოხატავენ ხალხის სულისკვეთების აზრს.

ათისთავობა, ასისთავობა და სხვა უმაღლესი საფეხურები სახალხო ორგანიზაციისა სავსებით ეგუებოდა მხარის ადმინისტრატიულ დანაწილებას. თვითეული სოფელი თვითმომქმედ ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. თვით სიტყვა „ათის თავი, ასისთავი“ საქართველოს სამხედრო დროის ტერმინებია, ასე რომ ხალხმა ამ სიტყვების გაგონებაზე იგრძნო რაღაც ჩვეული, რომელიც წარსულს წყვდიადში არც თუ ისე შორს გადაკარგულა...

მოძრაობის პირველ ხანებში სახალხო ორგანიზაციები შეთქმულთა ჯგუფებისაგან არ განირჩეოდა. „ათისთავი“ და „ასისთავი“ მანიფესტის და შემდეგ ხანას უფრო ეკუთვნის. ხალხიც რაღაც ღვთაებრივის კრძალვით ეტანებოდა ხელმძღვანელ პარტიის კომიტეტის გარდაწყვეტილებას. აქ სრული შეუდგებლობა და მორჩილება სუფევდა. ხალხის ფანტაზიამ შეჰქმნა ლეგენდები სხვა და სხვა მნიშვნელ „მქადაგებელთ“ შესახებ. ერთ ასეთ ლეგენდათაგანს ეკუთვნის ერთ დროს გავრცელებული ხმა, რომ უცნობმა ადამიანმა ჰაეროპლანით გადმოიარა გურიის მიდამოებზე და ხალხს რაღაც უცნაური სიტყვები უთხრაო. ყოველივე ახალ რაიმე სარევოლიუციო ან საპროპაგანდო ზომებს ხალხი „ნასწავლი კაცების“ მოქმედებას აწერდა. თვით ისეთი უპრალო საქმეც კი, როგორსაც შეიცავს მემამულის მიწაზე გაუფიცველ გლეხის სიმინდის ყანის აჩეხვა, ხალხმა სტუდენტებს მიაწერა. ამ შეხედულებას ის გარემოება ჰბადებდა, რომ აჩეხილ ყანაში კალოშის კვალი დასჩნევია“. ერთი სიტყვით, ხალხი ბუნებრივად თავისი მიდრეკილებით ჰქმნიდა გმირებს და ამ გმირთა სახის მხილველნი სოფლებში არც თუ ისე ბევრნი მოიპოვებოდნენ როდესაც მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო, გამოცხადდა მანიფესტი და ოდნავი თავისუფლება დამყარდა, ხალხი პირისპირ შეხვდა საოცნებო წარმოდგენათა გმირებს. აქედან უკვე იწყება კრიტიკული განსჯა ამ ქვეყნიური საზომით განხილვა გმირად დასახულ პირთა მოქმედებისა. სოციალისტური ინტელიგენცია დაუახლოვდა ხალხს, უკანასკნელი დაუახლოვდა ინტელიგენციას. მათ შორის დროებით ჰარმონიულ კეთილგანწყობილების ძაფი გაიბა. მაგრამ დიდხანს ვერ გასტანდა ასეთი მდგომარეობა. სარევოლიუციო აგიტაციას მოჰყვა პროპაგანდა, უკანასკნელს- „მკითხველთა წრეების“ დაარსება. დადებით მუშაობის წარმოებამ ხელი შეუწყო ხალხის ფართე წრეებს, რომ პარტიული პროგრამების სხვა და სხვა საკითხში გარკვეულიყვნენ. ეს „გარკვევა“ თან საბედისწეროც აღმოჩნდა ინტელიგენციისათვის. აბა რა პასუხი უნდა მიეცა რომელიმე ინტელიგენტს ცნობიერებაში მოსულ გლეხისათვის ისეთ კითხვაზე, როგორიც არის „სიღარიბის თეორია“, ანუ ეგრედ წოდებული პროლეტარიზაცია?! ამ მიკვირნეულ ადგილს სოც.-დემოკრატიულ პროგრამაში ნახევრად ინტელიგენტი ან მოწინავე ჭარხნის მუშა შესაფერი სიფრთხილით ვერ გააშუქებს. პარტიული დისციპლინით აღჭურვილ და საფუძვლიანად მომზადებულ ინტელიგენტს უბრალო სოფლებში კი იშვიათად შეხვდებით. ხელმძღვანელი წრეები შიში მოიცვა. წმინდა სოციალისტური პროპაგანდა - აგიტაცია მსხვერპლად ეწირებოდა სახალხო დემოკრატიულ საქმეებს. პარტიულ კითხვების ნაცვლად საჯარო კრებებზე მოწვეულ პროპაგანდისტს წმინდა სასოფლო საქმეების შესახებ შეკითხვებით სტვირთავდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია გამიჯვნა „პარტიულისა და დემოკრატიულისა“. სასოფლო საქმეების გასაარჩევად არსდება წმინდა დემოკრატიული ორგანიზაციები, აქ პარტიული ხელქვეითია, დემოკრატიული-უაღრესი. მეორეს მხრით ყალიბდება წმინდა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელ როლის მითვისებას ჩემულობენ სრულიად გლეხობის ცხოვრებაში. არსდება რაღაც მაგვარი გერმანეთის პარტიულ და პროფესიულ კავშირებისა, იმ განსვენებით მხოლოდ, რომ აქ სახალხო მოძრაობის გამომხატველ ორგანიზაციათა შორის მტრული ურთიერთობა, თუ გაუგებრობა დამყარდა დღიდან ასეთ განსაზღვრის მოხდენისა. თავმომწონე გურული გლეხი ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ პარტიულ წრეში არ მიიღეს და ნაცვლად ამისა რაღაც „თალხ“ ორგანიზაციის მაჩაჩალა გახადეს. ნივთიერი მდგომარეობა საგლეხო ორგანიზაციაში დარჩენილებისა არც თუ ისე სახარპიელო იყო, რომ პარტიის წევრებს ამ მხრით რაიმე დასაყვედრებელი ჰქონოდეთ. სოციალი მდგომარეობა გლეხკაცობისა და განსაკუთებით კი გურულებისა ისეთია, რომ აქ კლასიურ დანაწილება-დიფერენციაციაზე და აქედან გამომდინარე პოლიტიკის წარმოებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ეგრედ წოდებულ შემძლებელ გლეხთა კატეგორიას ეკუთვნიან ისეთები, რომლებიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ დაქირავებულ შრომით კი შეიძლება ჩავთვალოთ მოჯამაგირეობა, რომელიც გურიაში გავრცელებული არ არის. განსაკუთრებით სახალხო მოძ-

რად შეღებილი კოხტა ეკლესია—რიკულებით შეღობილი. ეკლესიის შემდეგ იწყება ევროპიულ გემოვნებაზე გაშენებული მოზრდილი ბაღი—პარკი, რომელშიაც მოსჩანს სასახლე. საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ ბაღები გზა-გზა (ყველა სოფელში) ხშირად მოსჩანს და ზოგ ბაღში იშვიათი ჯიშის ვაშლები და მსხალია, სჩანს ახლად მოშენებულია და კარგადაც უხეირია. სასახლის ერთის მხრით ერთ პატარა, მაგრამ ქვითკირის მკვიდრ შენობას აქვს წარწერა (ეგეც მარტო რუსულ ენაზე) „ავლევის ორ-კლასიანი სკოლა“. მეც ეს სკოლა მაინტერესებს, მეც ამ სკოლის მიზეზით წამოვედი მეორე გუბერნიიდან. ამ სკოლაში მინდა მივაბარო ჩემი შვილი—გივი. ორ კლასიანი სკოლის მეტი გურიაში რა არის, მაგრამ „კახაბერი სხვა კაციაო“, სკოლაც არის და სკოლაც. ავლევის სკოლის შესახებ ბევრი მსმენია და ბევრიც წამიკითხავს, მართალია პირადათ არ გავცნობილვარ, მაგრამ მის სიკეთე-ღირსებაში ისე დამარწმუნ-დამაიმედეს, რომ გადავწყვიტე ერთი შვილის აღზრდა ამ სკოლას მივანდო. ვერ დავფარავ,—იქ საცა კარგი ითქმის, ძვირსაც ბევრს იტყიან (მეტადრე ჩვენში), ისე ამ სკოლის შესახებაც ბევრ კარგთან ცოტა ძვირიც მსმენია, მაგრამ რაკი ნაკლს ღირსება სჭარბობდა მეც გავბედე და საბედნიეროდ არც მოვტყუვდი.

სკოლის ეზოში შემხვდა სკოლისავე მოწაფე—ცხინვალელი გლეხის შვილი, რომელმაც სკოლის დამაარსებელს თავად კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბს ჩემის თხოვნით გადასცა ჩემი სადარბაზო ბარათი. მაშინვე თავადური თავაზიანობით მიმიღეს, სადილად ისხდნენ და მეც მიმიწვიეს. სადილის შემდეგ თავადმა კოსტამ (ასე ეძახის ყველა ნაცნობი) დამატარა და დამათვალიერებინა თავის ხაამაგევი. გული უსაზღვროთ სიამით აღმევსო, ყველივე ხახულმა დამატკბო და მასი-ამოცნა—აქ აზიას, ჩვენს კურთხეულ საქართველოს, მარტო ის მოგაგონებს, რომ ხედავ ქართლელ გლეხებს, ქართულად მოლაპარაკეს, თორემ ასე გეგონება ევროპაში ვარ და იქაურ ფერმაში ვცხოვრობო.

სუსტი ვარ ავწერო რაც აქ ვნახე და რაც სიამოვნება აქ განვიცადე, მაგრამ მაინც ვცდი.

თავადი კოსტა მიხეილის ძე ამირეჯიბი ნამდვილი მემამულეა—გენერლის შვილი, ცხადია თავადურ ფუფუნება-განცხრომაში აღზრდილი, უმაღლესი სასწავლებელი, ბუნების მეტყველების ფაკულტეტი დაუსრულებია ადგილში. მერმედ დაუვლია მთელი ევროპა, შეუსწავლია მეურნეობა, სჭედლობაც, ხეინკლობაც და ყოველგვარი მანქანის ცოხმარა-ამოძრავება. რაც უმთავრესია შეუსწავლია არა ზეპეურად, არა წიგნებით—თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. სამშობლოში დაბრუნებულს გადაუწყვეტია სოფლად დარჩენა და თავის მეურნეობის ევროპიულ გემოვნებაზე, სამრეწველო ნიადაგზე დაყენება, სამრეწველო მეურნეობა არა პირადი სარგებლისათვის, არამედ სხვების სასარგებლოთაც. მას გაუხსნია თავისსავე სახლებში პრაქტიკული სამეურნეო-სამრეწველო სკოლა. სოფელში მოღვაწეობის დაწყების პირველსავე თუ მეორე წელს თავადს დიდი მარცხი მოუვლია—პურის სალეწმა მანქანამ (ცხენების ძალით მომუშავემ) ერთი ფეხი ისე დაუზიანა, რომ წასაჰერი გახდა, მაგრამ მას გული მაინც არ გაუტეხია... საბედნიეროდ და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ თავადი გადარჩა: სამეურნეო მანქანა-იარაღებზე ხელი არ აუღია, პირიქით მეტი შეიძინა და მეტად გააუმჯობესა სამრეწველო მეურნეობა. დღეს იმ მანქანას, რომელსაც კინადამ შეეწირა, ცხენების მაგიერ ამოძრავებს ელექტრონის ძალა.

რა გინდა რომ თავადის სკოლაში პრაქტიკულად არ იყოს შემოღებული: მჭედლობა, ზეინკლობა, დურგლობა, მანქანებისა და მატორების მოხმარება. ელოქტრონის მანქანასთან მოწყობილია ელოქტრონის ძალითვე მომუშავე წის ქვილი, ხის სახერხი მანქანა, აბანო. ყველა ამაებს ამუშავებენ სკოლის მოწაფეები და ისე ოსტატურად იწაფებიან ასეთ რთულ ტეხნიკურ საქმეებში, რომ სკოლის გათავების შემდეგ (წერა-კითხვის არ მცოდნეებისათვის 6 წლის კურსია) მემანქანის თანაშემწე-ინსტრუქტორ-მანტიორების ადგილს იჭერენ.

სკოლა სასულიერო უწყების ფირმით არის. დაარსებულა 1900 წელს, დაარსების წელს მოწაფე ყოფილა მხოლოდ 44. დღეს სკოლას ჰყავს (6 განყოფილებაში) 11 მასწავლებელი და 240 მოსწავლე ვაჟი და ქალი. (უადგილობის გამო 50 მოწაფეს უარი უთხრეს). ქალთათვის სკოლას აქვს ცალკე ჭრა-კერვის პროფესიონალური განყოფილება. სკოლასვე აქვს სარძევე, სახბორე და საზოგადოთ მესაქონლეობისა და მეყველეობის შესასწავლი ხელსაწყობი. აქვე ასწავლიან ფრინველის მოვლა-მოშენებას და სხვა. სკოლა ხალხს თანდათან ისე შეუყვარდა, რომ ავლეველი ახალგაზრდობა თითქმის ყველა სწავლობს. აი რა სასწაული მოუხდენია ამ სკოლას ამ მცირე ხანში. მოწაფეების უმრავლესობას ქართველები შეადგენენ უმთავრესად, არიან ოსებიც და ორიოდე სომეხი. სხვა სოფლელ მოწაფეებს ინახავენ ავლელები. ომამდი თითოს ახდევინებდნენ თვეში 5 მან. მერე თანდათან მოუმატეს და ეხლა ახდევინებენ 10—12 მანეთს.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება)

ს. იაშვილი

„მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველობისა“*).

15. მე 11 გ. სიტყვა „თერმომეტრს“, რომ ფრჩხილებში მაინც დაჰმატებოდა „სითბოს საზომი“ ან „თბილსაზომი“, უკეთესი იქნებოდა.

16. სურათი № 7. ამ სურათზედ ჩვენ სრულებით ვერა ვხედავთ იმას, რაც მას ქვეშ უწერია. ტექსტში სწერია: „წყლით სავსე ღრმა ჯამში რამ ცარიელი ჭიქა გადმოვაპირქვევით,“ და სხვ. აქ კი ჭიქის ნაცვლად ბოთლია დახატული და არც ეტყობა ცარიელია იგი თუ სავსე.

17. სურათი № 9. წარწერა სურათისა არ შეეფერება ნახატს. აქ სურათის 7-დის წარწერა უფრო მიუხდებოდა.

18. სურათი № 10. ამ ნახატისათვის ასო „ა“ სრულებით არ არის საჭირო, ტექსტში არ იხსენიება.

19. მე 16 გვერდზედ ნახსენებია ბარომეტრი. საზოგადოდ ყოველივე წიგნში და განსაკუთრებით საბუნებისმეტყველოში არ უნდა იხსენიებოდეს ისეთი რამ, ახალი ცნება, სიტყვა რაც განმარტებული არ იქნება. თუ ამ იარაღის შენობის დებულების ახსნა ნაადრევად მიაჩნია ავტორს, ამ შემთხვევაში მან არც უხდა დაასახელოს იგი! ხოლო თუ დაასახელა რამ ახალი უნდა მას განმარტებაც წარუძღვანოს ან მიაყოლოს.

20. სურათი 11. ამ სურათს ქვეშ უწერია: „ჭურჭელში მოთავსებული სანთელი მალე ჰქრება“.

განა სურათიდან დაინახვის ვითარების სისწრაფე?

მე თუ მკითხავთ, სურათიდან 12 უფრო შეგვიძლიან გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ იქ ცეცხლი ჰქრება ან უნდა ჩქარა გაჰქრეს; ამ სურათს კი უწერია: „იწვისო“.

21. ცოტათი ვერ არის ზედმიყოლით აღწერილი „ჰაერის ნაწილები“ „მჟავბადი“ და „აზოტი“.

22. კარგი იქნებოდა დაჰრთოდა განმარტება, თუ რად ჰქვია ერთს მჭრელს „მჟავბადი“, ხოლო მეორეს „აზოტი“, რასა ჰნიშნავენ ეს სიტყვები (სიტყვა აზოტი ქართულად, რომ იყოს განმარტებული, იქნებ ვინმემ შესაფერი სიტყვა გამონახოს ქართულ ენიდან. ხოლო თუ ამ ელემენტის სახელად უცხო სიტყვა გვინდა შემოვიღოთ, მაშინ სჯობს ის სიტყვა ვიხმაროთ, რომლის დასაწყისი ასოც ამ ელემენტის სიმბოლოს აღნიშნავს, მით უმეტეს, რომ ნიშანი Az ქიმიაში სხვა ცნებისათვისაც იხმარება).

23. მე 17 გვ. ქვ. მე 8 სტრ. სწერია: „ფოსფორი წყალში არ იხსნება, არა დნება“.

„იხსნება“ და „დნება“ სულ სხვა და სხვა მნიშვნელობის სიტყვებია. ფოსფორი, მაგალითად, შეიძლება წყალში დადნეს (თუ წყალი გავათბეთ), ხოლო გახსნით კი რაც უნდა ვურიოთ არ გაიხსნება. შაქარი კი, წყალში გახნით ადვილად გაიხსნება, ხოლო დადნობით კი, თუ ვურიეთ არ დადნება. ცხადია „ხსნა“ და „დნობა“ ერთი და იგივე არა ყოფილა. გახსნის დროს სხეულები თითქმის ყოველთვის ქემიურ ცვლილებას განიცდიან, ხოლო დნობის დროს კი თითქმის განსაკუთრებით ფიზიკურს.

24. მე 19 გვ. ზემ. მე 5 სტრ. სწერია, რომ დედამიწის პირის **ორი მესამედი** წყალს უჭირავს. ნამდვილად

*) იხილე „საქართველო“ № 209.

მხოლოდ 73%-ზე მეტი).

25. მე 19 გვ. ქვ. მე 2 სტრ. სწერია: მინერალი წყლები—უკეთესი იქნება დაიწეროს მადნეული წყლები.

26. მე 20 გვ. ქვ. მე 7 სტრ.: „ეს მეორე ჰურჭელი თოვლით სავსე ტაშტშია ჩადგმული“—საჭიროება არ მოითხოვს, რომ აუცილებლად თოვლი ვიხმაროთ. განა ყინული ან ცივი წყალი იმავე სამსახურს არ გაგვიწევს.

27. მე 21 გვ. პირველ სტრიქონში ნახმარია გამოთქმა „დაჩვრეტილი თიხა“. მე ვგონებ, სიტყვა „ფუტურო“, რომ ვიხმაროთ, იქნებ უკეთესად გამოიხატოს ის, რაც წიგნის ავტორსა ჰსურს. ყოველ შემთხვევაში „დაჩვრეტილი თიხის“ ხმარება, ცოტა შეუფერებელია.

28. იმავ გვ. მე 2 სტრ. ქვ. „დედამიწაზედ მზე წყალს აორთქლებს და წყალიც მუდამ ჰაერში ორთქლად ადის.“—წყალი აქ თითქო მზის ხათრით ადის ორქლად: არა სჩანს აუცილებლობა მიზეზ-შედეგის დამოკიდებულებისა.

29. მე 22 გვ. ზემ. მე 3 სტრ. „ჰაერი, რომ ორქლით გაჯღინთება, ორთქლი სიცივით იკუმშება“... წინადადება არ ვარგა და აზრიც უხერხული გასაგებია.—ჰაერს სითბოს მიხედვით სხვა და სხვა ზომა ორთქლი სჭირდება გასაჯღენთად: თბილს მეტი, ხოლო ცივს ნაკლები.

შეიძლება ჰაერი არც კი იყოს ორთქლით გაჯღენთილი, მაგრამ, თუ აცივდა იმდენად, რომ ორთქლს რაოდენობამ თავის შესაფერ სითბოს ზომას გადააჭარბა, მაშინაც დანამავს.—ვგონებ ამისი თქმა უნდა ავტორს (მაგრამ ნუ თუ ეს მოვლენა პატარა ბავშვებმა აუცილებლივ უნდა იცოდნენ?)

30. მე 22 გვ. უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „კრისტალებს“, რომ სიტყვა („ბროლი“) ფრჩხილებში მაინც თანა ჰხლებოდა ურიგო არ იქნებოდა.

31. სურათს 14 უწერია: („მარილის) კრისტალები. („მაბის) კრისტალები“.—თუ „მარილი“ საჭმელ მარილსა ჰნიშნავს (თუმცა ნახატი არა ჰგავს), „მაბი“ რაღად უწერია? ხოლო თუ ეს „მარილი მაბი“ უნდა იყოს, ცალ-ცალკე რაღად სწერია?

32. მე 24 გვ. ქვ. მე 14 სტრ. ხმარებულია გაღოთქმა „მიეუმატ-შეეაერთოთ“. ამ ორი სიტყვის შეკავშირებით მხოლოდ სირთულე შეგვმატეთ და არა აზრი ამ გამოთქმას. „მიეუმატ-შეუერთოთ“-ის ნაცვლად, რომ მხოლოდ „შეეაერთოთ“ ან „ეაერთოთ“ ვიხმაროთ, სიტყვაც უფრო მოკლე იქნება და სიტყვის აზრიც მიზანის გამომხატველი. შეეუერთოთ სხვასა ჰნიშნავს ვიღრე შეეაერთოთ. პირველი სიტყვა დამოკიდებულების მაჩვენებელია და აქ უადგილოა. მეორე კი თანაბარ უფლებიანობას გიჩვენებს. პირველი უფრო შეგროვებას ჰნიშნავს, უფრო ფიზიკურ მოვლენის ცნება სიტყვაა, მეორე კი უფრო გაერთებასა ჰნიშნავს და, მაშასადამე, უფრო საქიმიო ცნებასიტყვაა.

მ. შალამბერიძე.

(დასასრული იქნება)

შეცდომის გასწორება

„საქართველო“-ს მნ-208 ნომერში სიტყვები „შეიძლება არც მოხდეს უნდა შესწორდეს ასე: შეიძლება ესეც მოხდეს.

მე-209 ნომერში შეცდომით სწერია: „ცხოველი და უცხოველო“. უნდა იყოს: „ცხოველი და უცხოველო ან ცხოვრი და უცხოვრი“ და სხვა.

წერილი რედ. მიმართ

თანახმად ბ. გიკალის თხოვნისა, შესახებ მისგან მოთავსებული კორესპონდენციის ს. მარტყოფიდან, სადაც იგი მთხოვს შევამოწმო მღ. თუშმალიშვილის ნათქვამი სიტყვები ქართული ენის გალანძღვაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი: რაც შეეხება კორესპონდენტის ბაასს თუშმალიშვილთან მე არ დავწრებივარ. მხოლოდ მე გავხდი მოწმე შემდეგი ამბისა და ყველაც მიხვდება, რომ მღვ. თუშმალიშვილი არ არის ქართული ენის მოყვარე. აი საქმის გარემოება, დამამტკიცებელი ჩემის და ბ. გიკალის აზრისა: მაისის ბოლო რიცხვებში ერთ ოჯახში, სადაც ბრძანდებოდა მ. თუშმალოვი შემდეგი სიტყვებით გაგვიმასპინძლდა ქართველებს: ქართული ენა არ ვარგა, გინება იციან ქართველებმა, და როელი ენაც იგინება, ის ენა უნდა მოისპოსო მეჯერ ყური დავუგდე, მეგონა შემცდარი აზრის პატრონი უკან დაიხევს, ბოდიშს მოიხდის ენის შეგინებისთვის თვითონაც ქართველი და ქართველი გლეხის სარწმუნოების და ენის სათავეში მდგომი მოძღვარი, მაგრამ წარბ შეუხრელად განაგრძო მამა იოანემ და რუსული ენით დაათავა თავისი აზრი:

„როდესაც ეგზარხოსმა პავლემ საქართველო დასწყევლა, ეს წყევლა მან წარმოსთქვა ღვთის პირით; მანვე სთქვა, რომ ქართული ენა ძაღლის ენა არისო და მე კიდევ მეტს ვიტყვი: ქართული ენა არამც თუ ძაღლი ენაა, არამედ იგი არის დაწყევლილი, ეშმაკის ენა“.*) და სხვაც ბევრი რამე შეეძლო, წინ ვეღარავინ დაუდგებოდა აღშფოთებით მოლაპარაკეს, მაგრამ აქ კი ვეღარ მოვითმინე და პასუხი გავეცი. ჩემი სიტყვების აქ მოყვანას მნიშვნელობა არა აქვს და აღარც თავს შეგაწყენთ. ეს გახლავთ ჩემი ნანახი და სადაც უნდა და ვინც უნდა მკითხოს, სიმართლეს და ჭეშმარიტებას ვიტყვი. ის ოჯახი და იქ დამსწრეებიც ბ. გიკალემ კარგად იცის და თუ საჭიროება მოითხოვს თვითონ გიკალემ მოგახსენოთ.

პატივისცემით მარტყოფის საზოგადოების მამასახლისი

ი. ეპიტაშვილი.

1916 წ. ენკენისთვის 20.
ს. მარტყოფი.

სპორტი

(ფრანგული ჰიდაობა)

21 ენკენისთვეს გაიმართა საინტერესო ჰიდაობა. ჰიდაობდა ოთხი წყვილი. პირველ წყვილში „მ ოფლიო ფალავანს“, ი. ზაიკინს დაეჯახა ახალგაზდა კლიმენტი ბული. ჰიდაობა მეტის მეტად საინტერესო იყო. ნაირ-ნაირი ხერხები უჩვენეს საზოგადოებას. ზაიკინი და ბული ეს მეორედ ჰიდაობენ და აუცილებელი იყო ან ერთის წაქცევა, ანუ მეორისა, ამიტომაც იყო, რომ ხალხს თვალი აუხვიეს და ბუმბერაზის ბეჭები ხალიჩას მიაკრეს.

ბული რომ კარგი მოჭიდავეა, ამაზე ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ „ფალავანთა არწივის“ ი. ზაიკინის დასამარცხებლად, მას რომ არც ძალა შესწევს და არც ხერხი, ესეც ყველამ იცის. მეტად სამწუხაროა, რომ ზაიკინი, ეს ის ზაიკინი, რომელიც რუსეთის სპორტის სიამაყედ ითვლება, ასზე და ორას მანეთზე თავის ბეჭებს ჰყიდის; ვინ არ იცის, რომ კ. ბულს ძილშიაც არ დაესიზმრება ზაიკინის დამარცხება არამც თუ ცხადად.

დანარჩენი სამი წყვილის შესახებ არასფერს ვიტყვით, რადგანაც ბ. კელცევმა თავის უსუსურ ფალავნებით თავი მოგვაბეზრა. კელცევი გასცილდა ყოველგვარ სპორტის კანონებს და „სასპორტო არენა“ მამლაყინწა მოჭიდავეებით აავსო.

გენო.

*) 1886 წ. 24 მაისს მოკლეს თბილისის სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი, რომლის დასაფლავებაზე 27 მაისს ეგზარხოსმა პავლემ წარმოსთქვა სიტყვა და ქართველთა წყევა-კრულვა ჩაურთო შიგ. ამ წყევა-კრულვამ კი გამოიწვია დ. ყიფიანის წამება.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4, 7	„	58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, 7	„	58	„ საღ.

შპს „ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა“
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზე
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხვილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა **1916 წ. თვის** საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
კულტურული (მზვარეულობის) სკოლა
ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)
სკოლის წესდების § 4-ის ძალთ აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეთაფხეობის, სამზვარეულოს ჰიგიენის, საშვილების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საშვილების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. **სკოლის მიზანია:** 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.
სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.
(10—338—4)

თუ გსურთ,
რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ძალალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის პუნტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ძალაძელთა
ისე ძალაძ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მიხამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

გამოცემა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის მიერ.** ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მეტონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Слово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ“.
(თ.—225—11)

ძ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების ექსპორტა ტ. ჭიპ. ვალაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ოშიხ ქარტები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ჟაილოვის-ძენით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, **შავი „„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლიპარი, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები **რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.